

სს „ფინკა ბანკი საქართველო“ მომხმარებლებს ატყობინებს, რომ „საბანკო მომსახურების ზოგად პირობებში“ შედის შემდეგი ცვლილება:

**მე-6 მუხლის 6.9 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

6.9 მომხმარებელი აცნობიერებს და ეთანხმება, რომ მომსახურების განვების/გაუმჯობესების, ახალი ტექნოლოგიების, პროდუქტების/მომსახურების დანერგვის მიზნით ან/და შეუფერხებელი საქმიანობის განხორციელების უზრუნველსაყოფად, ბანკი უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში მომხმარებლის და/ან მისი ანგარიშების შესახებ ინფორმაცია გადასცეს ფინკა ინტერნეტმენალის ჯგუფის ფარგლებში, ასევე ბანკის გარე აუდიტორებს და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ნებადართული აუთსორსინგული ურთიერთობის ფარგლებში მომსახურების გამწვევ კომპანიებს. ინფორმაციის ნებისმიერი ასეთი გამჟღავნება მოხდება მხოლოდ იმ მოცულობით, რაც აუცილებელია შესაბამისი კანონიერი მიზნის მისაღწევად, ამასთან, მონაცემთა მიმღები ვალდებული იქნება, მიიღოს შესაბამისი ორგანიზაციული და ტექნიკური ზომები, რათა მკაცრად დაიცვას მიღებული მონაცემების კონფიდენციალურობა. მონაცემთა გამჟღავნება ასევე შესაძლებელია, თუ საქმე ეხება ჩვეულებრივ საბანკო ინფორმაციას, რომლითაც არ ილახება მომხმარებლის ინტერესები და მონაცემთა გამჟღავნება, გონივრული განსჯის საფუძველზე, აუცილებლად მიაჩნია ბანკს, მომხმარებლის დავალების შესასრულებლად.

ვებ-გვერდზე გამოქვეყნების თარიღი: 2019 წლის 5 აპრილი.  
ცვლილებები ძალაშია: 2019 წლის 8 აპრილიდან.